პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი პარასკევი 18 ივლისი № 166 (17809) ფასი 2 კაპ.

საჰიროა წინსვლა, საჰიროა წინ ვიხედებოდეთ, საჰიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშეობლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო ზრომით, საერთო კალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი.

ინიციატორი, ორგანიზატორი

ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე ვხედავთ ადგილობრივი საბჭოების, მათი დეპუტატების ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით გაკეთებულ და მოგვარებულ საზოგადოებრივ საქმეს, ხალხისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტილ პრობლემას, ისეთ ნაშრომსა და ნამოღვაწარს, რომელიც თვალნათლივ ატყვია გარემოს.

საბჭოები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სოფლად თუ ქალაქად სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორები და აქტიური ხელმძღვანელები არიან. და ახლაც, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო შემოქმედებითს შრომაში თავის სიტყვას ამბობენ ხელისუფლების ეს ყველაზე მასობრივი ორგანოები — ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები. ისინი ყირილობისწინა შრომითს ავანგარდში არიან და თავიანთი ორგანიზატორული შრომით ხელს უწყობენ პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმას, სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წინსვლას.

ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ რესპუბლიკის საბჭოებს მუშაობის დადებითს მაგალითებს უჩვენებენ ქალაქ თბილისის ადგილობრივი საბჭოები. რამდენი სასიკეთო საქმე მოუგვარებიათ საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებს, რამდენი თბილი სიტყვა თქმულა მათი ნაშრომისა და ნამოღვაწარის გამო. ამას წინათ ლენინის რაიონში ახალი კეთილმოწყობილი სკვერი გაიხსნა, რომელიც გაშენების ინიციატორია რაისაბჭოს დეპუტატი, „დინამოს“ ფაბრიკის მუშა მ. ოქროპირიძე. სწორედ მან მიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას, რომ გამოეძებნათ სახსრები ამ საქმისათვის. და აი, დეპუტატის ინიციატივამ ფრთები შეესხა. ახლა კი სკვერი შრომელთა და განსაკუთრებით ბავშვთა დასვენების ჩინებული კერაა.

ამმრჩეველთა განაწესისადმი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის ასეთი დამოკიდებულება ამ რაიონში ერთეული შემთხვევა როდია. სწორედ დეპუტატთა ინიციატივით თემქის დასახლებაში დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, ლოტკინის მიდამოებში დარდა მილიციის საყრდენი პუნქტი. ბევრს აკეთებენ დეპუტატები ქუჩების კეთილმოწყობის, საცხოვრებელი სახლების, სკოლების მშენებლობისა და შეკეთებისათვის, ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესებისათვის და ა. შ.

ცხადია, სადეპუტატო მოღვაწეობაში ამმრჩეველთა განაწესების შესრულება საბჭოების მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია, ამაში კი გადამწყვეტი ფიგურა დეპუტატები არიან. ისინი ახლა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ წამყვან ძალას წარმოადგენენ. ამას ადასტურებს მათი რაოდენობაც, შემადგენლობაც და თითოეულის საქმიანი თვისებებიც. მარტო ის ფაქტი, რომ ახლა საქართველოს სსრ ადგილობრივ საბჭოებში 50.468 დეპუტატია არჩეული, იმაზე მეტყველებს, რომ მათი სახით ჩვენს საზოგადოებას, ხალხს საიმედო ძალა და დასაყრდენი ჰყავს.

უთუოდ ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ ზუგდიდის რაისაბჭოს დასაფლო საბჭოების დეპუტატები. აქ ტრადიციულად არის დამკვიდრებული, რომ ყოველი ახალი საქმის წამოწყების წინ დეპუტატები იკრიბებიან „დეპუტატების დღის“ შეხვედრაზე, ბჭობენ, ადგენენ გაჯარებული გეგმების ამმრჩეველთა განაწესის გონივრულად შესრულებისათვის. მაგალითად, ამას წინათ იმსჯელეს ნეგადური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების და საერთოდ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საკითხებზე. ასეთი მოფიქრებული მუშაობის შედეგად ამ საქმეში ახლა მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რაიონში, უფრო ეფექტურად მიმდინარეობს ბრძოლა სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახლა ჩვენში დიდი მუშაობა მიმდინარეობს კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის, საბჭოთა მოქალაქის ინიციატივის განვითარების უზრუნველსაყოფად. თანმიმდევრულად ხორციელდება სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და აქტიურობის ამაღლების კურსი. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობდნენ საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეთა ყოველდღიურ მართვაში. ამას ეწმობს აგრეთვე ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც.

რესპუბლიკაში მტკიცე წესრიგისათვის, სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის ბრძოლის საქმეში საყურადღებო და მნიშვნელოვანია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

ქურდების, მძარცველების და სხვა დამნაშავეთა წინააღმდეგ კანონის გამკაცრებამ უაღრესად სახიკეთო გავლენა მოახდინა სახელმწიფო და მოქალაქეთა ქონების ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ახლა უკვე თამამად შეიძლება თქვას, რომ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად იკლო სახელმწიფო, პირადი ქონების ქურდობამ და სხვა დანაშაულობებმა, ცხადია, ყოველივე ეს ადგილობრივ საბჭოებს ავალებს არ დასჯერდნენ მიღწეულს, კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა ამ კანონის ფართო პროპაგანდისათვის, მიღწეული პოზიციების განმტკიცებისათვის. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენს გვერდით არ იყოს არც ერთი ქურდი, სამართალდამრღვევი. ამ საქმეში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ საბჭოებს, მუდმივ კომისიებს, დეპუტატთა ჯგუფებს, ცალკეულ დეპუტატებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ განუხრელად სრულდებოდეს კანონები, მტკიცდებოდეს საზოგადოებრივი წესრიგი, ძლიერდებოდეს სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ცხადია, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უფრო მჭიდრო უნდა გახდეს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების, შრომითი კოლექტივების, ოჯახისა და სკოლის, მთელი საზოგადოებრიობის თანამშრომლობა და ერთიანი მოქმედება.

ფაქტები მოწმობს, რომ იქ, სადაც ადგილობრივი საბჭოები აქტიურად მოქმედებენ და სამართალდამცავ ორგანოებთან ხელიხელჩაკიდებული იღვწიან წესრიგის დამკვიდრებისათვის, საქმესაც უკეთესობა ეტყობა. ასეა აბაშის რაიონის ბევრ სოფელში. მაგალითად, ზანავაქაო საკმაოდ დიდი სოფელია რაიონში. აქ 2200-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. საყურადღებოა, რომ კარგა ხანია ამ სოფელში არავითარი დანაშაული არ მომხდარა. ამაში უთუოდ საყურადღებოა ამხანაგური სასამართლოს, სახალხო რაზმელების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების როლი და ავტორიტეტი. ამ მხრივ უთუოდ ბევრი კარგი საქმე კეთდება აგრეთვე ჩხოროწყუს, ქარელის, ლაგოდეხის, ყვარლის და სხვა რაიონებში.

ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები — დეპუტატები მუდამ მასების შუაგულში უნდა ტრიალებდნენ, გულმხურვალედ ეხმაურებოდნენ მათ მოთხოვნებს. ხალხს რჩეულებს უფლად უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანებისადმი დამოკიდებულებით მსჯელობენ ხელისუფლების ამ მასობრივი ორგანოების, მათი დეპუტატების საქმეებზე, მუშაობაზე, განაწესების შესრულებისათვის აქტიურად ბრძოლაზე. სწორედ ყველა საჭირბოროტო საქმეში ხალხის რჩეულთა აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს საბჭოების მიერ ნაკისრ უფლება-მოვალეობათა შესრულებას.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული მათდამი პარტიულ ხელმძღვანელობაზე. კომუნისტი დეპუტატი მოწინავეთა რიგებში, მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ამ საქმეში კი პარტიული ორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო მაღლდება და ძლიერდება ადგილობრივი საბჭოების როლი და მასების წარმმართველი ძალა. ამიტომ ახლა, ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის დროს, ნათლად გამოჩნდება საბჭოების, მათი დეპუტატების საქმიანობის ავი და კარგი, ხალხის სახიკეთოდ ბრძოლის ნათელი სუფთა. და საბჭოების თითოეული დეპუტატი უნდა იყოს ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებისათვის გაჩაღებული ბრძოლის წინა ხაზზე, ინიციატორთა და თაოსანთა პირველ რიგებში.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ზრომის ვახვგე

ტყიბული. (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივმა მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე ხუთწლედის უკანასკნელი წლის პირველი ნახევარი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 21 ათასი მანეთის ნაწარმი, გათვალისწინებულთან შედარებით 3,1 პროცენტით გაიზარდა თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება: ამაღლდა გამოშვებული ტრანსფორმატორების ხარისხი. გელათელები ახლა სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. (საკ. კორ.).

ჩაი საექსპორტოდ

ქობულეთი. (საკ. კორ. მ. გოგრგილაძე). ქართული ჩაის ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება. წელს, მაგალითად, ქობულეთის ჩაის საწნეხი ფაბრიკა ინგლისს უგზავნის 400 ტონა პირველი ხარისხის შავ ბაიხაო ჩაის. საექსპორტოდ უკვე გაიგზავნა 200 ტონა მზა პროდუქცია. მწვანე აგური ჩაიზე დიდი მოთხოვნილებაა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მარტო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში წელს ქობულეთიდან 2600 ტონა მზა პროდუქცია გაგზავნება, აქედან 1300 ტონა მწვანე აგური ჩაი უკვე მიაწოდეს მომხმარებელს.

✦✦

ხარისხის ნიშნით

ზემტკიცე ცემენტის ახალი დიდი პარტია ვადაზე ათი დღით ადრე გაუგზავნა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა. პროდუქციას მიღებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

რუსთაველმა მეცემენტეებმა წლის დამდეგიდან სამი ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს, აქედან 75 პროცენტი — ხარისხის ნიშნით. (საქინფორმი).

სირთულეთა დაძლევით

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 37-ე კონფერენციაზე ითქვა. რა გაკეთდა?

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციამ ღრმად გააანალიზა თბილისის სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივების მუშაობა. პრინციპული, პარტიული შეფასება მისცა მათს საქმიანობას, კონკრეტული ამოცანები დასახა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კონფერენციაზე წარმოძმეულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თბილისის პარტიული ორგანიზაციისათვის განსაზღვრელ საკითხად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სანაშუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის საკითხი დასახელა.

„ჩვენი აზრით, თქვა მან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის ეს საკითხია საკითხი. ეს არის ჩვენი მუშაობის გენერალური ხაზი, ჩვენი პოლიტიკური, ორგანიზატორული, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიმართულება“.

თბილისის XXXVII პარტიული კონფერენციიდან დღემდე თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა. დედაქალაქში განლაგებული სამინისტროები, ყველა ორგანიზაცია თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კონფერენციის გადაწყვეტილებებით, რეგულარულად მოწმდება მათი შესრულების მსვლელობა.

სწორედ კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შედეგებს მიეძღვნა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1980 წლის 10 ივლისის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები და ქალაქში განლაგებული მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ინდუსტრიის წინსვლის საქმეში. ხუთწლედის ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით 41 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა. კარგად მიდის საქმე მიმდინარე წელსაც: გასულ ექვს თვეში მომხმარებელმა გეგმით გათვალისწინებულზე 6 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი მიიღო. ეს წარმატება უმთავრესად დედაქალაქში მოქმედ დარგის საწარმოთა წილად მოდის. სწორედ დედაქალაქის № 1 ტრიკოტაჟის, საფეიერო-საკალანტერეო „კომკავშირელის“, მატყლის სარეცხი ფაბრიკების და მოდელების სახლის კოლექტივებმა შეასრულეს ხუთწლიანი გეგმები. და პირველნი ჩაებნენ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კონფერენციის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების კულტურის მკვეთრ ამაღლებას. ახლა ქალაქის მსუბუქი მრეწველობის გაერთიანების, კომბინატებისა და ფაბრიკების დიდი ნაწილი განახლების პროცესშია. რეკონსტრუირებული საწარმოები საგრძნობლად ადიდებენ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე ითქვა სამავშო სამრეწველო საქონლის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. ამ მიმართულებითაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, მაგალითად, მთლიანად სამავშო პროდუქციის გამოშვებაზე გადავიდა. სამავშო სამრეწველო საქონელს ამზადებენ აგრეთვე სხვა საწარმოებიც. პატარებისათვის გათვალისწინებულმა ნაწარმის ხვედრითმა წილმა დარგის წარმოების საერთო მოცულობაში 35 პროცენტი შეადგინა.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაკები მეტს აკეთებენ ახლა თავიანთი ტერიტორიის მოვლა-დამშვენებისათვის, საწარმოო კორპუსების ფასადების გალამაზებისათვის, გამწმენდ ნაგებობათა წესრიგში მოყვანისათვის.

მიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თბილისის პარტიული ორგანიზაციისათვის განსაზღვრელ საკითხად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სანაშუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევის საკითხი დასახელა.

„ჩვენი აზრით, თქვა მან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის ეს საკითხია საკითხი. ეს არის ჩვენი მუშაობის გენერალური ხაზი, ჩვენი პოლიტიკური, ორგანიზატორული, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიმართულება“.

თბილისის XXXVII პარტიული კონფერენციიდან დღემდე თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა. დედაქალაქში განლაგებული სამინისტროები, ყველა ორგანიზაცია თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კონფერენციის გადაწყვეტილებებით, რეგულარულად მოწმდება მათი შესრულების მსვლელობა.

სწორედ კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შედეგებს მიეძღვნა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1980 წლის 10 ივლისის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები და ქალაქში განლაგებული მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ინდუსტრიის წინსვლის საქმეში. ხუთწლედის ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით 41 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა. კარგად მიდის საქმე მიმდინარე წელსაც: გასულ ექვს თვეში მომხმარებელმა გეგმით გათვალისწინებულზე 6 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი მიიღო. ეს წარმატება უმთავრესად დედაქალაქში მოქმედ დარგის საწარმოთა წილად მოდის. სწორედ დედაქალაქის № 1 ტრიკოტაჟის, საფეიერო-საკალანტერეო „კომკავშირელის“, მატყლის სარეცხი ფაბრიკების და მოდელების სახლის კოლექტივებმა შეასრულეს ხუთწლიანი გეგმები. და პირველნი ჩაებნენ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ ქალის ნაწილი

შრომის ფლეგის რეპორტაჟი

... **საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში იმ საღამოს შეკრებილი ასობით ადამიანი დიდხანს უკრავდა ტაშს ამ ჭაღარა კაცს. არა, იგი მსახიობი არა ყოფილა, მაგრამ იმ საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა, რომლის სამსახურსაც ნახევარი საუკუნე შეალია. მისი ცხოვრება იყო გმირობა. და ის ადამიანებიც, რომლებიც ამ საღამოზე დასასწრებლად საბრძოლო და შრომითი ჯილდოებით მკერდდამშვენებული მოვიდნენ, უბრალო მაყურებლები როდი იყვნენ — ბევრი მათგანი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ამ კაცის მხარდამხარ შრომობდა.

მეტად ბედნიერი კაცია კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძე, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი.

— კონსტანტინე ილურიძის ცხოვრება, — თქვა კ. ილურიძის დაბადების 70-ე წლისთავისა და შრომითი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა, — განუყოფელია ჩვენი რესპუბლიკის, მთელი საბჭოთის ისტორიისაგან, მის ბედში მკაფიოდ აისახა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ზრდა და ჩამოყალიბება, მისი საქმეები, მისი ბრძოლა, მისი წარმატებანი. კოტე ილურიძის ბიოგრაფია გამოჭედილია მისი ნაჯაფი მარჯვენით. ეს კაცი ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული — მისი სიბაბუკე დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, იგი ჩადგა ახალი ცხოვრების პირველმკვალავთა რიგებში, მას იცნობენ მთელ ქვეყანაში. კ. ილურიძის გზა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ათასობით მუშის ცხოვრების გზა გახდა. და დღეს, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის წინ, რომელიც სათვალავით მეათეა ჩვენი ქვეყნისთვისაც და იუბილარისთვისაც, კონსტანტინე მიხეილის ძეს — კვლავ მჭედლის ურო-სთან ვხედავთ. დღეს მის სამუშაო კალენდარზე 1983 წელია. სკკპ მომავალი XXVI ყრილობა მეათე პარტიული ფორუმი იქნება ილურიძის შეგნებულ ცხოვრებაში. და იგი, როგორც მუშა და როგორც კომუნისტი, ერთგულია თავისი ტრადიციისა — სამომავლოს ეს თვალსაჩინო მოვლენა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში: ვადამდე შეასრულოს 1981 წლის პირველი კვარტალის დავალება.

— ერთგულება, აი რა არის კოტეს ხასიათის მთავარი ნიშანი, — თქვა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ვეტერანმა ვ. ბეკუაშვილმა, რომელმაც უკვე რამდენიმე ათეული წელი იმუშავა ქარხანაში. — საქმის, მშობლიური საწარმოს, კომუნისტური პარტიის ერთგულება. კარგად მახსოვს, რა მითხრა ერთხელ მან: „ჩემო ვარლამ, ასე მგონია, როდესაც საბჭოთა მოქალაქე გქვია, შენი ქვეყანა ტაძარი კი არ უნდა იყოს შენთვის, რომელშიც უნდა ლოცულობდეს კაცი, არამედ სახელოსნო, სადაც კეთილსინდისიერად უნდა იშრომო“.

დაუვიწყარი იყო კონსტანტინე ილურიძისათვის 1940 წლის მაისის ის დღეც, როცა თავის ყოფილ თანამოსაქმე ამხანაგებს ეწვია სრულიად საკავშირო მამასახლისი მ. ი. კალინინი.

მუშაკი შემოქმედი უნდა იყოს — ეს კარგად იცოდა ილურიძემ. და როცა მთელ ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, კოტე ილურიძე სტახანოვის, ბუსიგინის, კრივონოსის ერთ-ერთი პირველი მიმდევარი გახდა. და განა მარტო იგი. მას მხარში ამოუდგნენ ამხანაგები — ახლის, სოციალისტური შრომის პიონერები. და კონსტანტინე ილურიძის პირველ ორდენზე აღბეჭდილი იყო მისთვის ძვირფასი ადამიანის — ლენინის სახე...

— შემდეგ კი ომიც დაიწყო,— იხსენებს ქარხნის ვეტერანი ა. ზარდიაშვილი. — დღე და ღამეს ვასწორებდით ქარხანაში. და მაინც საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო კოტე. მან პარტიის, ომში წასული ძმებისა და მეგობრების წინაშე პირობა დადო, რომ ყოველდღე დამამზადებდა სამას დეტალს. მჭედლის სიტყვა ისეთივე მტკიცე გამოდგა, როგორც მისი ხელით გამოჭედილი ფოლადი. ზოგჯერ ვხედავდი, ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მაინც არ მიდიოდა ქარხნიდან, სანამ უკანასკნელ დეტალს არ დაამზადებდა.

სწორედ იმ წლებში დაიწყო საწარმოში შეჯიბრება დევეზიით „პროფესიაში საუკეთესო“, რომელიც ომისშემდგომ წლებშიც არ შეწყვეტილა. მისი ინიციატორი იყო ილურიძე. ათობით ახალგაზრდა აზიარა მან პროფესიას.

ომი დამთავრდა, მაგრამ ქარხანაში სამუშაო მაინც ულევი იყო. ეს გვახარებდა კიდეც: ფრონტიდან მოდიოდა ტყვეითა და ჭურვის ნამსხვრევებით დაზიანებული ორთქლმავლები და ვაგონები, მაგრამ მშვიდობიან შეკვეთებსაც ვიღებდით. ამ შეკვეთებს სიხარულით ვასრულებდით.

— დღეს კონსტანტინე ილურიძის მაგალითით იზრდება ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების ახალი თაობები, — თქვა ახალგაზრდა ხარატმა ზ. ფირცხალაშვილმა, — და ის პატივისცემა, რომლითაც ახალგაზრდები ეკიდებიან ვეტერანს, ყველაზე კარგად ადასტურებს იმ დიდ საქმეს, რომელიც ამ ადამიანმა გააკეთა ქარხნიათვის.

შარშან შემოდგომაზე ილურიძეს ერთ-ერთს პირველს მიანიჭეს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება და ეს არავის გაკვირვებია. მან დაიმსახურა ეს წოდება მთელი თავისი ცხოვრებით, რომელიც მშობელ ქალაქს მოახმარა...

...ხუთწლედი ხუთწლედს მისდევს, არადა, ამ ხუთწლედებს შეადგენენ დაძაბული, ძნელი წლები, როცა სიხარულს გულისტკივილი ენაცვლება, შემდეგ კი კვლავ გამარჯვება. ეს ის წლებია, როცა ადამიანის გული აღმშენებლობის რიტმით ძგერს და იგი სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლას აყოლებს თავის ნაბიჯს. და ბედნიერია ის, ვინც წინ მიდის ამ გზით, არ გადაუხვევს მას, არ გადის განზე, მტკიცედ, უცვლელად უხამებს თავის მისწრაფებებს ქვეყნის ინტერესებს.

ჯერ კიდევ შორეულ ოციან წლებში თქვა პოეტმა: „ბედნიერი ვარ — მონაწილე დიად ძალისა, ერთად გამტანი ჩვენი საერთო ჭირ-ვარამისა“. კონსტანტინე ილურიძეც ბედნიერია, რომ მონაწილეა ჩვენი ისტორიის დიდი თუ მცირე ნიშანსვეტებისა, ჩვენი პარტიის საქმეებისა.

ბედნიერია ეს მჭედელი კაცი, რომელსაც მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, კაცი, რომელმაც ძნელი, მაგრამ ღირსეული ცხოვრება განვლო...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა კონსტანტინე ილურიძეს საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის სატიტო წოდების „მინიჭება.

იუბილარს მიესალმნენ კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ნ. ბუთხუზი, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი თ. ჯაბაური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ფრანგიშვილი, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ხუროთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბოროდავა, ქ. ილურიძის მშობლიური სოფლის — მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი ზ. ხახუტაშვილი, მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ზ. სარალიძე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. ვარდოსანიძე, პოეტი მ. ფოცხიშვილი.

საიუბილეო საღამოს დასასრულ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ჯ. მ. ილურიძისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 70-ე და შრომითი საქმიანობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძეს „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 ივლისი.

ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლე ზუანს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ამხანაგ ნგუენ ხიუ თხოს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩიონეგ ტინს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ფამ ვან დონგს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური თანამშრომლობის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით.

დეპეშაში ნათქვამია:

განვლილ ოცდახუთ წელიწადში ჩვენი ეკონომიკური კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ურთიერთობის მთელ კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა ეფექტიანად ემსახურება ჩვენი ქვეყნების სახალხო-სამეურნეო პოტენციალის განმტკიცების ინტერესებს, საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების აღმშენებლობითი შრომის ამოცანებს.

სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების ახლადელ ეტაპს ახასიათებს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე ყველა დარგში თანამოქმედების სხვადასხვა ფორმების გაღრმავება და სრულყოფა.

ამას წინათ გამართულმა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის უმაღლესი დონის შეხვედრამ ცხადყო საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის სოლიდარობა, ახალი სტიმული მისცა ჩვენი პარტიებისა და ხალხების ძმური კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. (საკდესი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲚᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲓ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ მოსკოვში „ოლიმპიადა-80“-ის თავმჯდომარემ ე. ტ. ნოვიკოვმა საუზმე გამართა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტთა პატივსაცემად.

XXII ოლიმპიადის ასპარეზობა, თქვა ე. ტ. ნოვიკოვმა, ჩვენი საერთო დღესასწაული გახდება. ხუთ წელიწადს ვმუშაობდით ერთად, რათა მოსკოვის ასპარეზობა ნამდვილი

აბიტურიენტი — 80 ● ეისალეგი გამოცდების წინ

სპეციალისტი აბიტურიენტით იწყება

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ემზადებიან უაღრესად პასუხსაგები კამპანიის — მისაღები გამოცდებისათვის.

საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს, რესპუბლიკის 19-ვე უმაღლესი სასწავლებლის რექტორებს სთხოვა ეამბნათ გაწეული მუშაობის, ახალი შევსების მისაღებად უმაღლესი სასწავლებლების მზადყოფნის შესახებ.

დ. ჩხეიძვიშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკს კარგად აქვს შეგნებული, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ უმაღლეს სასწავლებლს მისაღები გამოცდების ჩატარების პერიოდში. 15.240 ახალგაზრდა წელს პირველად დაიწყებს მეცადინეობას 19 უმაღლეს სასწავლებელში. აბიტურიენტთა რიცხვი 4-5-ჯერ აღემატება იმათ რიცხვს, ვინც პირველ კურსზე ჩაირიცხება. ეს ნიშნავს, რომ ისევე როგორც წინა წლებში, აბიტურიენტებმა საკონკურსო გამოცდებზე უნდა მოიპოვონ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში. გამოცდებისათვის საგულდაგულო მზადება არის აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებისა და პარტიული ორგანიზაციების დიდი საზრუნავი.

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში სამინისტროს კოლეგიამ განიხილა უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებული მიღების შედეგები და შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი დაშვებული შეცდომებისა და ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად. შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს გამოცდებისათვის მზადების გეგმა-გრაფიკის შესასრულებლად.

წარშანდელთან შედარებით, მიღების წესებში არსებითი ცვლილებები არ არის. რამდენიმე უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში განვაგრძობთ ექსპერიმენტს, როცა აბიტურიენტები, რომლებმაც სკოლა თუ საშუალო სპეციალური სასწავლებელი ისე დაამთავრეს, რომ სამიანები არ მიუღიათ და რომელთა ატესტატის საშუალო ქულა 4,5-ზე ნაკლები არ არის, პირველ ორ გამოცდაზე 9 ქულის მოგროვებისას სტუდენტები გახდებიან. ოთხმა წინა წელმა დაადასტურა ამ ექსპერიმენტის ქმედითობა.

იმისათვის, რომ გავზარდოთ ადგილები დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე, შემცირდა მიღება საღამოს განყოფილებებზე. ვფრუნავთ იმისათვის, რომ მოხერხებული პირობები შევუქმნათ სოფლიდან ჩამოსულ აბიტურიენტებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მინიჭებული აქვთ უფლება გამოცდები ჩაატარონ ერთდროულად სწავლების სამივე ფორმის მიხედვით.

კონკურსგარეშე მიღების უფლება აქვთ მინიჭებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის მაღალი მთის რაიონების მცხოვრებლებს.

ახლა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის რაიონულ და საოლქო კომიტეტებს, რომლებმაც ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა კონკურსგარეშე მიღების უფლება მიენიჭოთ ახალგაზრდობის ნამდვილად ღირსეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს გამოუყო 250-მდე ადგილი 66 სპეციალობაზე ქვეყნის ორმოცდაათ უმაღლეს სასწავლებელში, აბიტურიენტებთან გასაუბრების შემდეგ, რომლებმაც უნდა იცოდნენ რუსული ენა, მათი გამოცდები მოეწყობა ყველასთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებსა და მთელ რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. აბიტურიენტები, რომლებიც ამ გამოცდებზე სამიანებს მიიღებენ, კარგავენ სხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას, მაგრამ შეუძლიათ განაგრძონ მონაწილეობა იმ ინსტიტუტის კონკურსში, სადაც გამოცდები მიმდინარეობს.

ვ. ოკუჯავა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მისაღები გამოცდების სამი კვირა — ეს დიდი გამოცდაა უმაღლესი სასწავლებლისათვის. კაცმა რომ თქვას, იგი ყველაზე მნიშვნელოვანიც არის. ეს სამართლიანობის, პრინციპულობის, ობიექტურობის, საქმიანობის გამოცდაა.

წელს ველით 12 ათასამდე განცხადებას, ხოლო შევძლებთ მივიღოთ მხოლოდ სამი ათასამდე კაცი, ამასთან დაკავშირებით შინდა მოგაგონოთ, რომ უნივერსიტეტში შესვლისათვის საჭიროა არა მარტო სკოლის პროგრამის ცოდნა, არამედ ცოდნის უნარიანი ფლობა, ანალიზური აზროვნების ჩვევები, სკოლის გამოსაშვები გამოცდებისაგან განსხვავებით, უმაღლესი სასწავლებლის გამოცდა, უწინარეს ყოვლისა, კონკურსია.

მკაცრი კონკურსის პირობებში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საპრეტენზიო კომისიების მუშაობას. შარშან, მაგალითად, გაპროტესტდა წერითი და ზეპირი პასუხის სამი ათასზე მეტი შეფასება, პრეტენზიებიდან მეტნაკლებად დავაკმაყოფილეთ მხოლოდ 66. ფაქტობრივად ორჯერ მოგვიხდა ყოველი მეოთხე ნამუშევრის შეფასება. ერთი მხრივ, ეს მოწმობს, რომ ბევრ აბიტურიენტს სავსებით არა აქვს შეგნებული პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობს, როცა გამომცდელთა გადაწყვეტილებას აპრიორეტესტებს. მეორე მხრივ, ეს მოწმობს, რომ საჭიროა საგამოცდო კომისიების წევრთა მაღალი კომპეტენტურობა, თითოეული კონკრეტული სიტუაციის საგულდაგულოდ გარჩევა.

უნივერსიტეტში საგამოცდო კომისიების მუშაობისადმი საზოგადოებრიობის კონტროლის გასაძლიერებლად შავ ნამუშევრებს აბიტურიენტებს ხელზე ვაძლევთ წერითი გამოცდის დამთავრებისთანავე. მთავმატიკაში წერითი გამოცდის მეორე დღესვე გამოვაცხადებთ სწორ პასუხებს. შემოღებულია გაპრიორეტესტებული წერითი ნამუშევრების გაშიფვრა.

ვფიქრობთ, ბევრი რამ გავაკეთეთ იმისათვის, რომ საგამოცდო კომისიების, ტექნიკური სამსახურის მუშაობა, გამოცდების ატმოსფერო იყოს მშვიდი, საქმიანი და კეთილმოსურნეობითი. მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით აბიტურიენტებზეც, თავიანთი ცოდნის ზედმიწევნით გამოვლენის ძალს უნარზე. გულისტკივილით მინდა მოგაგონოთ, რომ შარშან გამოცდა დავატოვებინეთ დაახლოებით 50 კაცს იმის გამო, რომ სკაფეს გამოეყენებინათ შპარგალკა, ბევრმა მკაცრი შენიშვნა და გაფრთხილება მიიღო.

უნივერსიტეტში მთავრდება მზადება მისაღები გამოცდებისათვის. ამ მუშაობაში ვგრძნობთ პარტიული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუდმივ მხარდაჭერას. გამოცდების შემდეგ ყურადღებით შევისწავლით აბიტურიენტთა აზრს, რათა მომავალში სრულყოთ მისაღები გამოცდების მოწყობა.

ა. ძიძიგური,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

წელს ბათუმში გაიხსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი საღამოს და დაუსწრებელი ფაკულტეტებით. გამოცხადებულია მიღება ახალგაზრდებს შორის ისეთ პოპულარულ სპეციალობებზე, როგორიც არის „სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა“, „მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია“, „წყალმომარაგება და კანალიზაცია“ და სხვა. სულ ჩვენს ინსტიტუტში მივიღებთ 4.275 ახალგაზრდას. სამოცდაოთხ სპეციალობას დაეუფლება დღის განყოფილების 3.100, საღამოს განყოფილების — 900 და დაუსწრებელი განყოფილების — 275 პირველკურსელი.

ჯერ კიდევ აპრილში საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა საერთო საინსტიტუტო და საგნობრივი მომდები კომისიები. „დღა კარის დღეებში“ გვეწვივნენ თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ჩამოსული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები და ახალგაზრდა მუშები. ისინი შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებლებს, მიიღეს სპეციალურად მომზადებული ამომწურავი ცნობარები. გავითვალისწინეთ, რომ დაახლოებით სამიათას აბიტურიენტს გამოცდებზე ქარხნები და ფაბრიკები გზავნიან და წინასწარ შევათანხმეთ გამოცდების მოწყობის ვადები დიდი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებთან.

გარდა ამისა, საწარმოო პროცესი რომ არ დავაღვიოთ, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე საბუთების მიღება აბიტურიენტების საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოეწყო რესპუბლიკის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში — რუსთავში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულში, სოხუმში, ბათუმში.

ეწყობა კონსულტაციები ყველა საგანში. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საგამოცდო პროცესის საჯაროობას. აბიტურიენტებისათვის საინტერესო ყველა ცნობას ვაქვეყნებთ სპეციალურ საინფორმაციო ეკრანზე. მიმღებ კომისიებსაც და აბიტურიენტებსაც დიდ დახმარებას გაუწევს ტექნიკური საშუალებების —გამნაწილებელი და გამომცდელი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენება, გამოცდების მიმდინარეობის რადიოტრანსლაცია, გამოცდების ჩვენება შიდასატელევიზიო ქსელით, დოკუმენტაციის დამუშავების ავტომატიზებული სისტემის გამოყენება.

თ. ბუაჩიძე,

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

გასულ წელთან შედარებით მისაღებ გამოცდებზე განსაკუთრებული ცვლილებები არ იქნება. აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა (რომლებიც ხშირად აბიტურიენტებზე მეტად აქტიურობენ), კარგად იციან, რომ გამოცდები სკოლის პროგრამის მიხედვით ეწყობა, მაგრამ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა ითვალისწინებს ენის ზედმიწევნით ათვისებას, სასაუბრო ენის დეტალურად დაუფლებას. სამწუხაროდ, ხშირად არც აბიტურიენტები, არც მათი მასწავლებლები ამას ყურადღებას არ უთმობენ, ხოლო სპეციალიზებულ სასწავლებელში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლისას მაღალი შეფასების მისაღებად საკმარისი არ არის ენის ზერელედ ცოდნა. საჭიროა სწორედ იმ სიღრმეებში წვდომა, რომლებზეც მე ვიელაპარაკე.

ყველა აბიტურიენტს დამსახურებულ წარმატებას ვუსურვებ კონკურსში, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში მუდამ დიდია. ჩვენთან ათჯერ მეტი განცხადებები შემოგვქონ, ვიდრე ადგილებია პირველ კურსზე. ამიტომაც აბიტურიენტებს მთელი თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლინება მოუწევთ.

ვ. მეტრეველი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

წელს 575 კაცი შემოვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში „ჰიდრომელიორაციის“, „მიწათმოწყობის“, „სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის“, „სოფლის მეურნეობის საბუღალტრო აღრიცხვის“, „მეგაბრეშუმე აგროინჟინრის“ და რუსულ სექტორზე „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის“ სპეციალობებით.

ჩვენი მიზანია მივაღწიოთ იმას, რომ ინსტიტუტში ჩაირიცხონ ყველაზე ღირსეული ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც სურთ საგგებლობა მოუტანონ სოფლის მეურნეობას. ამ მიზნით ინსტიტუტის თანამშრომლებმა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის დიდი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის რაიონებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი მთისა და შორეული რაიონების მცხოვრები ის პირნი, რომლებიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სასწავლებლად გამოგზავნეს, სხვა აბიტურიენტებთან თანაბარი შეფასების მიღების შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობით ისარგებლებენ.

ა. მელია,

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი

ჩვენი ინსტიტუტის აბიტურიენტებს მოელით უკვე გამზადებული აუდიტორიები და სპეციალურად გამოყოფილი სპორტული ნაგებობანი. სწორედ აქ ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს ახალგაზრდები, რომლებიც შეავსებენ დღის განყოფილების 225 ადგილს, რათა სპეციალისტები გახდნენ 28 სახეობის სპორტში. ეს კაცს, ძირითადად სპორტული ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებსაც კვალიფიკაციის ამაღლება სურთ, მივიღებთ დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ინსტიტუტის თითოეულ კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებთან, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მწვრთნელებთან, რაც დაგვეხმარა აბიტურიენტთა კონტინგენტის კარგად შესწავლაში. მიმღები კომისიები წინასწარ შემუშავებული გეგმით ესაუბრებიან ყველას, ვისაც საბუთები შემოაქვს. შედგენილია ბილეთები, პროგრამები, მათ შორის სპორტული ვარჯიშების ჩასაბარებლად, ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად არის, რათა 1-20 აგვისტოს სასწავლო აუდიტორიებში, სარბენ ბილიკებსა და სპორტულ დარბაზებში მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მოეწყოს მისაღები გამოცდები.

ზ. ანჩაბაძე,

აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

აფხაზეთის უნივერსიტეტში, რომელიც თავის პირველ წლისთავს აღნიშნავს, წელს პირველ კურსზე ჩაირიცხება 760 ახალგაზრდა. ისინი მოემზადებიან სპეციალობაში და პედაგოგიური ორიენტაციის გარდა, ფუნდამენტურ ცოდნას მიიღებენ კონკრეტულ სპეციალობათა მიხედვით.

უნივერსიტეტში შემსვლელთ მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ, აქ უნდა შემოვიდნენ ყველაზე მომზადებული ახალგაზრდები, ამიტომ იყო, შარშან ვწუხდით, შემომსვლელთა შორის არც ერთი მედალისანი რომ არ გვყავდა. ახლა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლისადმი ახალგაზრდობის ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა, აბიტურიენტთა შორის არიან მედალოსნებიც, რაც მოწმობს პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის სწორ ორგანიზაციას. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი ყველაფერს იღონებს, რათა აფხაზეთის მუშათა კლასის, სოფლის ახალგაზრდობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა კეთილმოსურნეობისა და პრინციპულობის ვითარებაში ჩაბარონ გამოცდები.

ნ. ვალიშვილი,

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი წელს 875 ახალგაზრდას იღებს. უკანასკნელი წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ ინსტიტუტში გამოცდების მოწყობის ქმედითი სისტემა დამკვიდრდა — პრაქტიკულად აღარ შემოდის საჩივრები საგამოცდო კომისიების მუშაობაზე. ამ პროცესს სრულყოფასთან ერთად ჩვენ ამჟამად ვხვეწთ აბიტურიენტთა პასუხის შეფასების ერთიან კრიტერიუმებს. მაგალითად, წერილობითს ნამუშევრებს აფასებს მასწავლებელთა ორი ჯგუფი და საბოლოო შეფასება გამოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აზრი ემთხვევა ერთმანეთს.

გამოცდებისას ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ საზოგადოებრივ კონტროლზე. მოწინავე მშრომელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ბევრი რამ იღონეს, რომ ინსტიტუტში შემოვიდნენ მხოლოდ პოლიტიკურად მომწიფებული ახალგაზრდები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომასა და სწავლაში. როგორც ყოველთვის, მისაღები გამოცდები ფართო საჯაროობის ვითარებაში ჩაივლის, ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს და დანერგეს სისტემა — „ავტოინფორმატორი“, რომლით სარგებლობისათვისაც საკმარისია აბიტურიენტმა აიღოს ტელეფონის ყურმილი და დასვას ნებისმიერი კითხვა, რომელიც მას აწუხებს, რამდენიმე წუთში იგი ამომწურავ პასუხს მიიღებს.

საჯაროობის ვითარების შექმნას ყველაზე მეტად უწყობს ხელს გამოცდების მიმდინარეობის ტელეტრანსლაცია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში.

ნ. ქარქაშაძე,

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ჩვენი ინსტიტუტი ქვეყნის ერთადერთი სასწავლებელია, რომელიც სუბტროპიკული კულტურების სპეციალისტებს ამზადებს. ეს უადრესად რთული დარგია და ამიტომ მისაღებ გამოცდებს წინ უძღოდა დიდი მუშაობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის. ბუნებრივია, მისი ცენტრი გახდა რაიონები, სადაც, სუბტროპიკული კულტურები მოჰყავთ, ხოლო გამოცდების დროს უპირატესობა ენიჭებათ იმათ, ვინც პროფილით მუშობს.

აბიტურიენტებს შესაძლებლობას ვაძლევთ გაეცნონ ჩვენი პროფესიის სპეციფიკას, შეხვდნენ მასწავლებლებს, ვაწყობთ „ღია კარის დღეებს“.

ის გარემოება, რომ წელს შემომსვლელთა 275-ვე ადგილი დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოვყავით, იმით აიხსნება, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ მივიღოთ მომუშავე ახალგაზრდობა, ისინი, ვისაც აქვს საჭირო პრაქტიკული ცოდნა და კარგ თეორიულ მომზადებას საჭიროებს.

დ. ბალაძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობა აჭარის სოფლებში იგზავნება. ამიტომ ვცდილობთ ინსტიტუტში სოფლის ახალგაზრდობა მივიღოთ.

წელს უნდა მივიღოთ 445 კაცი, რომელთა უმრავლესობა — 225 და 180 სტუდენტი შესაბამისად დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ისწავლის, სასწავლო პროგრამა ისევ შედგენილი, რომ მოსწავლეები პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისათვის ჩვეულებრივ საგნებთან ერთად, ეუფლებოდნენ ზოგად-ტექნიკურ დისციპლინებსაც, შრომითი აღზრდის მეთოდიკას. ყოველივე ეს გამოყენებას პოვებს სასოფლო-სამეურნეო რაიონების მოზარდი თაობის აღზრდაში.

ო. ბაკურაძე,

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი წელს 480 კაცს მიიღებს. პირველკურსელთა უმრავლესობა (225) ჩაირიცხება დღის და დაუსწრებელ (210) განყოფილებებზე, ოთხი წლის შემდეგ ჩვენი კურსდამთავრებულნი შეემატებიან ძირითადად დასავლეთი საქართველოს სკოლების პედკოლექტივებს.

ისევე როგორც შარშან, გამოცდებისათვის მზადება დავიწყეთ წინა წლების მისაღები გამოცდების ანალიზით, საგნობრივი საგამოცდო კომისიების მუშაობის გამოცდილების განზოგადებით. მიღების სწორ ორგანიზაციაზე ხომ დიდად არის დამოკიდებული სტუდენტთა აკადემიური წარმატება, მომზადების დონე.

რ. კანდელაკი,

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი

ჩვენი ინსტიტუტი მასწავლებლებს ამზადებს არა მარტო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის ჩვეულ საგნებში, არამედ აგრეთვე ისეთ სპეციალობებში, როგორიც არის ზოგად-ტექნიკური დისციპლინები და შრომა. ამ კურსის დამთავრებულთ შეუძლიათ ასწავლონ არა მარტო სკოლაში, არამედ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებშიც.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა მოვუმზადოთ კადრები ქართლს, მესხეთ-ჯავახეთის საშუალო სკოლებს, ამიტომ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობას ჩვენი თანამშრომლები სწორედ ამ რაიონებში ეწევიან;

უკვე ჩაირიცხნენ პირველი სტუდენტები საღამოს (25 კაცი) და დაუსწრებელ (135 კაცი) განყოფილებებზე, კიდევ 140 ადგილი მოელის სოფლის ახალგაზრდობას, რომელსაც გადაუწყვეტია მოზარდი თაობის აღზრდის უთანხმობილ საქმეს მოაკითხოს ხელი.

ნ. ქორთუა,

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ორმოცი წელზე მეტია თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი არსებობს. დღის განყოფილებაზე წელს ვიღებთ 140 ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომლებსაც პედაგოგიური საქმიანობის მიდრეკილება აქვთ, და დაუსწრებელ განყოფილებაზე პროფილით მომუშავე 110 ახალგაზრდას.

ჩვენი კურსდამთავრებულნი ძირითადად იმუშავებენ კახეთში, დუშეთისა და თიანეთის რაიონებში, ამიტომ ბუნებრივია, ჩვენ ვისწრაფვით უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ რაიონების ახალგაზრდობა მივიზიდოთ ინტიტუტში.

უნდა ითქვას, რომ კონკურსის მონაწილეთა ჯგუფი წლითი-წლობით ზრდება. შესაბამისად მატულობს მასწავლებელთა პასუხისმგებლობაც. ინსტიტუტის კოლექტივი გულდასმით მოემზადა იმისათვის, რომ მშვიდი, საქმიანი ატმოსფერო სუფევდეს გამოცდებზე.

ი. გაგლოითი,

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი

ფართო საჯაროობაა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ გართულებას როგორც აბიტურიენტების, ისე მისაღები გამოცდების კომისიის წევრთა მიზეზით— აი, როგორი დევიზი შეიძლება ექნეს ახლანდელ საგამოცდო კამპანიას სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ჩვენი უმაღლესი სასაწვლებელი, რომელშიც სწავლება სამ ენაზე—ოსურად, ქართულად და რუსულად წარმოებს, წელს 350 კაცს მიიღებს. ეს რაოდენობა თანაბრად ნაწილდება დღისა და საღამოს განყოფილებებს შორის. წელს, ისევე როგორც წინა წლებში, თორმეტი სპეციალობით პედაგოგიური განათლების კონკურსგარეშე მიღების შესაძლებლობა ექნება არა მარტო ჩვენი რეგიონის—ჯავის, ლენინგორის, ზნაურის რაიონების მოწინავე ახალგაზრდობას, არამედ აგრეთვე ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკისა და ზოგიერთი სხვა რაიონების მცხოვრებლებსაც.

ინსტიტუტში აქტიურად მუშაობს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისია. ისინი, ვინც კონკურსში ვერ გავა, მისგან დახმარებას მიიღებენ სამუშაოზე მოწყობის მხრივ, მჭიდრო კავშირი გვაქვს დამყარებული ჩვენს კურსდამთავრებულებთან.

გ. თოთიბაძე,

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

წელს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ოთხ ფაკულტეტზე—სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, არქიტექტურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებზე მივიღებთ 120 ქალაშვილსა და ჭაბუკს 18 სპეციალობით. პირველად ვაცხადებთ მიღებას თეატრალურ-დეკორაციული ფერწერის განყოფილებაზე. ეს პრაქტიკულად არ არის ახალი სპეციალობა ჩვენს აკადემიაში. ფერწერის განყოფილებასთან ასეთი სახელოსნო გვქონდა. მაგრამ სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გადავწყვიტეთ სპეციალური განყოფილება გაგვეხსნა.

მისაღებ გამოცდებამდე ჯერ კიდევ საკმაო ხნით ადრე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა დიდ მუშაობას ეწეოდა აბიტურიენტებთან. სამხატვრო აკადემიასთან მთელ წელიწადს მოქმედებდა მოსამზადებელი კურსები, სადაც სახვითი ხელოვნების ოსტატობას ეუფლებოდა ორასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მათ შესაძლებლობა მიეცათ ემეცადინათ ყველა საგანში, რომლებშიც მისაღები გამოცდების დროს უნდა ჩაბარონ როგორც სპეციალური, ისე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში.

ტრადიციისამებრ, კონკურსგარეშე ადგილები გვაქვს გამოყოფილი აფხაზეთის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს მაღალი მთის რაიონების ქალაშვილებისა და ჭაბუკებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს სახვით ხელოვნებას ეზიარონ.

ს. ცინცაძე,

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ძნელია რესპუბლიკის რუკაზე იპოვო ადგილი, სადაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი არ მუშაობდნენ. მოულოდნელი გეოგრაფიული ატლასი შეადგინა ჩვენი ყოფილი სტუდენტების წერილებმა, რომელიც კონსერვატორიის 50 წლის იუბილეზე მივიღეთ: მოსალოდნელ ფოსტაში ათასზე მეტი მისამართი აღმოჩნდა.

წლითი-წლობით ძლიერდება ახალგაზრდობის ლტოლვა მუსიკისადმი. წელს უმაღლესი სასწავლებლის ოთხ ფაკულტეტზე გამოცხადებულია მიღება 17 სპეციალობის მიხედვით. მივიღებთ 140 ქალაშვილსა და ჭაბუკს.

გასულ წელთან შედარებით ქალაშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც საშუალო მუსიკალური სასწავლებლები ოქროს მედლით დაამთავრეს, კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებს აბარებენ ყველა სპეციალურ საგანში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ყველა ამ საგანს ფრიადზე ჩაბარებს, თავისუფლდება იგი ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინის ჩაბარებისაგან.

ისევე როგორც წინა წლებში, კონსერვატორიამ კონკურსგარეშე ადგილები გამოუყო აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლებს.

კონსერვატორიაში გამოცდები მიმდინარეობს. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ წელს აბიტურიენტთა მომზადების დონე მაღალია და კონსერვატორიაში ღირსეული შევსება მოდის.

ე. გუგუშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

7 ივლისს ინსტიტუტში მისაღები გამოცდები დაიწყო, მაგრამ საგამოცდო თადარიგი განცხადებების მიღებამდე დიდი ხნით ადრე დავიჭირეთ. ინსტიტუტთან მთელ წელიწადს მუშაობდა მიმღები კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გამოცდილი პედაგოგები, ეწყობოდა კონსულტაციები, საუბრები სცენური ხელოვნებისა და კინოხელოვნების საკითხებზე.

წელს გამოცხადებული გვაქვს მიღება სამსახიობო ფაკულტეტზე სპეციალობებით—„დრამისა და კინოს მსახიობი“, „თოჯინების თეატრის მსახიობი“. მიზნობრივი ჯგუფი შეიქმნა რუსთაველისა და ქუთაისის თოჯინების თეატრებისათვის. უმაღლესი სასწავლებელი მოამზადებს მსახიობთა ჯგუფს ახალციხისა და ფოთის თეატრების კადრებით დაკომპლექტებისათვის. ჩვენი პედაგოგები დადიოდნენ ამ ქალაქებში აბიტურიენტთა წინასწარი გაცნობისა და კანდიდატურების შერჩევის მიზნით.

წლევანდელი გამოცდების ერთ-ერთი სიახლეა მიღება ტელესარეჟისორო ფაკულტეტზე „ტელეპროგრამის რეჟისორის“ სპეციალობით. გრძელდება მიღება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფაკულტეტზე, რომელიც მოამზადებს კლუბების მეთოდისტთა კადრებს.

ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ მიმღებმა კომისიამ ობიექტურად შეაფასოს ქალაშვილებისა და ჭაბუკების ნიჭი, ცოდნა და არჩევანის სისწორე.

(საქინფორმი)

უმაღლესი სასწავლებლები



ახალ შევსებას ელიან

კ. ვირსალაძე,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

მისაღები გამოცდებისათვის ჩვენ ფაქტიურად მთელი წლის მანძილზე ვემზადებით. ყველამ იცის, როგორ ეტანება ახალგაზრდობა ჩვენს ინსტიტუტს, ბევრი ქალაშვილი და ჭაბუკი სამედიცინო ინსტიტუტში 6-7 წელს უშედეგოდ აბარებს, გვინდა ამ ახალგაზრდებს ვურჩიოთ, ტყუილად ნუ ხარჯავთ დროს, ყოველი წელი ძვირფასია არა მარტო თქვენთვის, არამედ სახელმწიფოსათვისაც. ვითარდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები, ყველგან ძალზე საჭიროა ახალგაზრდა მუშაკები. სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარების უშედეგო ცდებისათვის დაკარგულ დროში შეგეძლოთ დაუფლებოდით ხალხისთვის საჭირო სხვა სპეციალობას.

არ შემძლია დუმილით გვერდი აუარო იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელს შორის ჩვენ გვიყენებენ ყველაზე მეტ პრეტენზიებს გამომცდელთა მუშაობისადმი, მაგრამ პრეტენზიები ყოველთვის როდი მოწმობს იმას, რომ ნიშნებს აბიტურიენტებს არასწორად უწერენ. პირიქით: მიმღები კომისიის წევრები არიან კომპეტენტური სპეციალისტები, აქ არ გვყავს პირები, რომლებიც რეპეტიტორობას ეწევიან, მიმღებ კომისიაში შეგვყავს საშუალო სკოლების პედაგოგები, ინსტიტუტის კოლექტივი მზად არის კვალიფიციური განმარტება მისცეს აბიტურიენტებს მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე. მიმდინარე წლის მაისში ტაშკენტში გაიმართა ქვეყნის სამედიცინო ინსტიტუტების რექტორთა და საგნობრივ სა

საერთაშორისო ცხოვრება
დღიურის ჩანაწერები

მნიშვნელოვანი წინადადება

ბელგრადი, 17 ივლისი. წინადადება — დაიწყონ მოლაპარაკება ევროპაში საშუალო სიშორის, რაკეტულ-ბირთვული იარაღის საკითხებზე წინგადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შეხლების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების გზაზე, განაცხადა ბელგრადში გამართულ პრესკონფერენციაზე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მ. კალეზიჩმა.

პროტესტები ბარბაროსული აქციის წინააღმდეგ

ჰავანა, 17 ივლისი. კუბელი მშრომელები გადაჭრით გმობენ ცენტრალური ატლანტიკის საერთაშორისო წყლებში ორ კუბურ ტანკერზე იმ ორი სამხედრო თვითმფრინავის ყაჩაღურ თავდასხმას, რომლებსაც არ ჰქონდათ ამოსაცნობი ნიშნები. როგორც იუწყებიან, ცეცხლის დაშენის შედეგად დაიღუპა ერთი ერთ ტანკერის კაპიტანი— ხოსე მანუელ ვენტურა, ეკიპაჟის სამი წევრი ძმიმედ დაიჭრა. მთელ ქვეყანაში ეწყობა მასობრივი მიტინგები ამ ბარბაროსული აქციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ეჭვი არ არის, რომ ამ ბანდიტური თავდასხმის მიღმა დგას ამერიკის იმპერიალიზმი, განაცხადა ჰავანაში გამართულ მიტინგზე თინუს საჭირი ფლოტის სამმართველოს პარტიული კომიტეტის წარმომადგენელმა ლასორ ვასკესმა.

დაე, იცოდეს მტერმა, რომ ვერ შეაშინებს კუბელ მეზღვაურებს. ამის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს გამოვიჩენთ, თქვა ლ. ვასკესმა.

განიხილავენ პალესტინის პრობლემას

მზადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესიისათვის

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მთავრდება მზადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევისათვის პალესტინელთა უფლებების პრობლემის განსახილველად. დასახულია სესია გაიხსნას 22 ივლისს. აქ თათბირი მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არაბული სახელმწიფოების ჯგუფმა, რომელმაც ერთიანი პოზიცია უნდა გამომუშაოს სესიაზე. როგორც პრესკონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არაბული ქვეყნების ლიგის სპეციალურმა წარმომადგენელმა კ. მაქსუმმა განაცხადა, ეს ფორუმი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი უნდა გახდეს იმ საკითხის განხილვაში, რომელიც ძირითადად არის მიჩნეული ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევისათვის. არაბული ქვეყნები მოელიან, რომ სესია თვისებრივ ცვლილებებს მოაწევს სამართლებრივი ჩარჩოების, საერთაშორისო მექანიზმის შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობს პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადრე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

სესიას იწვევენ ისრაელის პოლიტიკის გააქტიურების ფონზე, რომელიც მთლიანად ჩაგულებელყოფს საერთაშორისო გაერთიანების ნებას, აბუჩად იგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს, აღნიშნა კ. მაქსუდმ. ისრაელი, თქვა მან, განაგრძობს ოკუპირებულ მიწებზე დასახლებების შექმნას, იერუსალიმის ანექსიას, არ წყვეტს შეიარაღებულ თავდასხმებს ლიბანზე.

არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენელმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც სავსებით უჭერს მხარს ტელ-ავივის ექსტრემისტულ კურსს.

„ვეფხის-ტყაოსანი“ ხალხებს აახლოებს

ზოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ამჯერად სლოვაკურ ენაზე ალაპარაკდნენ“. ცნობილმა სლოვაკმა პოეტმა, პროზაიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა და მისი ლიტერატურის პროპაგანდისტმა მილოშ კრნომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ხალხის კუთვნილებად აქცია. წიგნი ამ დღეებში გამოუშვა გამომცემლობა „ტატრანმა“ და, როგორც ბრატისლავიდან იუწყებიან, უკვე გაყიდულია. სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში — „ზახეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა ცნობილი სლოვაკი ლიტერატორისა და ჟურნალისტის დუშან სლობოდნიკის სტატია, რომელიც წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ქართველი ხალხის ეს უძველესი ეპოსი და ღირსების სიმბოლო, რომელსაც ხალხი ესოდენ პატივს სცემს, დიდი რუსთაველის ჭეშმარიტად უკვდავი გენიის ქმნილება რვა საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც აახლოებს ხალხებს, აზიარებს მათ სიკეთეს, მოუწოდებს ძმობისა და ურთიერთგაგებისათვის“.

თარგმანი, სპეციალისტთა აზრით, შესრულებულია მაღალ პოეტურ დონეზე, მას შენარჩუნებული აქვს რუსთაველის ლექსის განუმეორებელი სურნელება.

„ვეფხისტყაოსანზე“, მუშაობის დაწყების დროისათვის კრნოს ქართულ ლიტერატურასთან ნაცნობობის სოლიდური „სტაჟი“ ჰქონდა. ეს ნაცნობობა 1950 წელს დაიწყო, როცა ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს მუშაკი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. კრნო მეგობრობდა გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, ილო მოსაშვილთან, სანდრო შანშიაშვილთან, ბევრ სხვა ქართველ ლიტერატორთან.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში კრნომ სლოვაკური ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია „მერანი“. ამის შემდეგ მან ცალკე წიგნად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, თარგმნა გ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, მ. ფოცხიშვილის ლექსები. კრნომ სლოვაკ მკითხველს გააცნო საქართველოს ძველი და თავისთავადი კულტურა შესანიშნავი ნარკვევებისა და წერილების სერიაში. მისი ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ფილმი „რაჟა — ჩემი სიყვარული“. და ბოლოს მან გამოსცა საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების ორი კრებული, რომანი „ხვავი“, რომელშიც შექმნილია ქართველი ჭაბუკის — პარტიზანის, ფაშიზმის წინააღმდეგ თავადადებული მებრძოლის პატრიოტის და ინტერნაციონალისტის სახე. ამ რომანმა, რომელიც თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე, კრნოს როგორც პროზაიკოსს, დიდი პოპულარობა მოუტანა.

მ. კრნოს ლექსები ხშირად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ცალკე წიგნად გამოიცა საქართველოსადმი მიძღვნილი მისი ლექსების ციკლი, რომელიც მ. ფოცხიშვილმა თარგმნა. ქართულად გამოვიდა აგრეთვე ლ. ზედგენიძის მიერ თარგმნილი კრნოს ლექსების წიგნი „დილის ნიავი“.

„ვეფხისტყაოსნის“ სლოვაკური გამოცემა დასურათებულია ცნობილი მხატვრის მარჩეკ დუბრაჩეკის ილუსტრაციებით. (საინფორმი).

იმუშავებს ოცი არხი

ოლიმპიურ ტელეზე

„ოლიმპიადა-80“-ის საზეიმო გახსნამდე დარჩენილი დროის თვლა უკვე წარმოებს არა ოვებით, კვირებითა და დღეებით, არამედ საათობით. პლანეტის აბორიგენების დღესასწაულისათვის მზადება „ფინიშს სწორზე“ გავიდა. ოლიმპიადის პირველიდან ბოლო წუთამდე ყველა კონტინენტის სპორტის მოყვარულნი ინტერესით ნახავენ ოლიმპიელთა „ბატალიებს“. გზეთები, ჟურნალები, საინფორმაციო სააგენტოები გამზადებულნი არიან. უდიდესი მუშაობა გასწიეს ელექტრული პრესის წარმომადგენლებმა—რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა.

იმისათვის, რომ რადიო და ტელეკომპანიებმა უზრუნველყონ მოსკოვის ოლიმპიადის ოპერატიული გაშუქება, საბჭოთის დედაქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. წინათ არსებული სატელევიზიო ტექნიკური ცენტრის გარდა შექმნილია ოლიმპიური ტელერადიოკომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის ტელერადიოცენტრი და 25-ზე მეტი ტელერადიომაუწყებლობის კომპლექსი სპორტულ ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე. აგებულია, აგრეთვე, ოლიმპიური საკომუტაციო ცენტრი—ძირითადი ობიექტი მოსკოვის ოლიმპიური კავშირგაბმულობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

ახალი კომპლექსის ტექნიკურ შესაძლებლობებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმით, რომ ერთდროულად გადაცემები შეიძლება განხორციელდეს ფერადი ტელევიზიის 20 არხით სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის კომპანიებისა და ორგანიზაციებისათვის. ოთხი წლის წინათ მონრეალში მხოლოდ ცხრა ასეთი არხი იყო. (საკდესი).

ოკეანეშია „ახმეტა“

ახალი სუპერტრალერი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეზომალლეებმა აშენეს, სარეწაო რეისში გავიდა.

ახლახან დაბრუნდა ახმეტის რაიონის მოწინავე მშრომელთა ექსკურსია. ეს ექსკურსია ეწყობოდა ბაკურიანის ტურისტული ბაზის ბინადრებისა და ადგილობრივ ტურისტებს შორის, ასევე ეწყობოდა ბაკურიანის ტურისტული ბაზის ბინადრებსა და ბაკურიანელ ბავშვებს შორის. ექსკურსიის ორგანიზატორები ბაკურიანელ ბავშვებს ბაზის ბინადრებს ბაკურიანელ ბავშვებს ბაზის ბინადრებს ბაკურიანელ ბავშვებს ბაზის ბინადრებს

მეგობროების ზღვა

სოხუმი. 16 ივლისი. (საქინფორმის კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების სატიო სიგელები და ნიშნები მიენიჭა საკურორტო აფხაზეთის მუშაკების დიდ ჯგუფს, რომლებიც მომსახურებას უწევენ უცხოელ ტურისტებს. სოხუმში ჯილდოები გადასცა ტურისტული ფირმის „რაიზებიუროს“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წარმომადგენლობის გენერალურმა დირექტორმა სსრ კავშირში იუზეფ მისკევიჩმა. იგი ეწვია ბიჭვინთას, დაათვალიერა საკურორტო ტურისტული კომპლექსი, ესაუბრა სრულიად საკავშირო საბჭოთა საზოგადოება „ინტურისტის“ ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელებს ტურისტული კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

სტუმარი იყო აგრეთვე სოხუმის „ინტურისტის“ ობიექტებზე, ეწვია სასტუმროებს „აფხაზეთს“, „ტყვარჩელს“, „თბილისს“, კემპინგ „გუმისთას“, ციროვის სახელობის კოლმეურნეობას, დრანდის ჩაის ფაბრიკას.

— ძალზე მოხარული ვარ, — თქვა ი. მისკევიჩმა, — რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტები გულთბილად იხსენიებენ მზიური რესპუბლიკის ალერსიანი ზღვის სანაპიროზე, მის სტუმართმოყვარე ხალხს.

შავ ზღვას სამართლიანად უწოდებენ მეგობრობისა და ძმობის ზღვას. წელს მის ლაქვარდოვან ნაპირებზე საბჭოთა ტურისტებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 100 ათასზე მეტი სტუმარი დაისვენებს.

მარგვეთით სოფია–თბილისი

სოფია-თბილისი ახალი საერთაშორისო პირდაპირი ავიარეისის პირველი მგზავრები გახდნენ ბულგარელი ტურისტები, და ჟურნალისტები, ამ ავიატრასამ, რომელმაც დააკავშირა მოძმე ბულგარეთისა და საბჭოთა საქართველოს დედაქალაქები, ორნახევარჯერ შეამცირა მათ შორის ფრენის დრო, რადგანაც მიიხსნა გაღაჯდომის საჭიროება.

ახალი მარშრუტით ისარგებლებენ არა მარტო თბილისელები და საქართველოს დედაქალაქის უცხოელი სტუმრები, არამედ დასავლეთ ევროპირის მენავთობეები და გაზის მრეწველობის მუშაკები — ეს საერთაშორისო ხაზი ტიუმენამდე გრძელდება.

თბილისი ჩვენს ქვეყანაში მეცხრე საერთაშორისო აეროპორტი გახდა. ახალ ხაზს მოემსახურება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ტუ-154 თვითმფრინავები. (აქინფორმი).

მერი ანჯაფარიძე

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრ ჯავშრის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი **მერი ივლიანეს ასული ანჯაფარიძე.**

იგი დაიბადა 1904 წელს ქუთაისში ცნობილი ქართველი ინტელიგენტების ოჯახში. დედამისი მარიამ მესხი რევოლუციამდე ქუთაისის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე იყო და თეატრალურ ასპარეზზე მოღვაწეობდა. ამ ოჯახში დაიწყო აგრეთვე ქართული სცენის დიდოსტატის ვერიკო ანჯაფარიძის აკვანი.

მ. ანჯაფარიძემ უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში და პროფესიით ეკონომისტი გახდა. შემდეგ მან თავისი ბედი დაუკავშირა ცნობილ ქართველ მშენებელ ინჟინერს ნიკოლოზ დახელიას, რომელიც იმ დროს მიიწვიეს მოსკოვის მეტროს მშენებლობაზე. აქედან დაიწყო ახალი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პერიოდი მ. ანჯაფარიძის ცხოვრებაში. იგი მძლავრად მიიზიდა კინოხელოვნებამ და მუშაობას იწყებს კინოსტუდია „მოსფილმში“, სადაც წლების განმავლობაში წარმატებით ეუფლება კინორეჟისორის პროფესიას. იგი თანამშრომლობს გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორთან მიხეილ ჭიაურელთან და სხვებთან ფილმებზე „დიადი განთიადი“, „ბერლინის დაცემა“, „ფიცი“, „დაუვიწყარი 1919 წელი“, „წამების ზეები“, ხოლო მომდევნო წლებში დამოუკიდებლად დგამს მხატვრულ ფილმებს „გზაზე“, „ანიუტა“, „ფეოლქა ძერკინსკი“.

მ. ანჯაფარიძე იყო ნიჭიერი ხელოვანი, განათლებული და გამრჯე ადამიანი. ცხოველმყოფელი გაელვება იქონია მან საკუთარი შვილის — ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორის გიორგი დანელიას, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებაზე. ამასთან საშუალო და ახალი თაობის ქართველ კინემატოგრაფისტებს ახსოვთ მისი გულისხმიერება, რჩევა-დარიგება და დაინტერესებული მონაწილეობა მათს შემოქმედებით წამოწყებებში. მისი ალალი წელილი საბჭოთა კინოს განვითარების საქმეში დავიწყებას არ მიეცემა.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობა; კოლეგა „ქართული ფილმი“.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭუბია.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1980-1981 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

I. წარმოებას მოწყვეტით.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

მათემატიკური ანალიზი.

ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

გეოქიმია.

ვაჩნაძის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი

ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია; ბიოლოგიური და სამედიცინო კიბერნეტიკა.

მართვის სისტემების ინსტიტუტი

ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია; სისტემათა თეორია; ავტომატური მართვისა და რეგულირების თეორია და სიტემური ანალიზი.

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი

სამშენებლო კონსტრუქციები.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი

ავტომობილები და ტრაქტორები; მანქანათა, აპარატურისა და მოწყობილობათა დინამიკა და სიმტკიცე.

პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ფიზიკური ქიმია.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; ელექტროქიმიური წარმოება.

სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი.

ლითონმცოდნეობა და ლითონთა თერმული დამუშავება; ლითონთა წნევით დამუშავება (2 ადგილი. ერთი მიზნობრივი — საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ ქარხანა „მიკროძრავისათვის“).

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამედიცინო ფსიქოლოგია.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

პოლიტიკური ეკონომია; ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ორგანიზაცია, მათ შორის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით (2 ადგილი); ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა—მიზნობრივი — დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისათვის.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა.

ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; ციტოლოგია — მიზნობრივი—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.

II. წარმოებას მოუწყვეტლივ

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

თეორიული და მათემატიკური ფიზიკა; მყარი დეფორმადი სხეულის მექანიკა (2 ადგილი. 1 მიზნობრივი — ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის).

ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრი

გამოთვლითი მათემატიკა; გამომთვლელ მანქანათა და სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა.

შრომის წითელი დროშის ორდენსანი ფიზიკის ინსტიტუტი

დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა და კრიოგენული ტექნიკა.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ასტრომეტრია და (ციური მექანიკა (2 ადგილი); რადიოფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკის ჩათვლით.

გეოფიზიკის ინსტიტუტი

გეოფიზიკა (2 ადგილი).

ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია.

ვაჩნაძის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ლანდშაფტების ფიზიკური გეოგრაფია, გეოფიზიკა და გეოქიმია.

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორი

ჰიდროგეოლოგია; საინჟინრო გეოლოგია, გამყინვარებამდეცოდნეობა და გრუნტმცოდნეობა.

მართვის სისტემების ინსტიტუტი

მათემატიკური კიბერნეტიკა გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის სისტემების ელემენტები და მოწყობილობები (მიზნობრივი — კიბერნეტიკის ინსტიტუტისათვის).

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი

სამშენებლო მექანიკა (ორი ადგილი. 1 მიზნობრივი — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „კვებპროექტის“ ინსტიტუტისათვის, სამშენებლო კონსტრუქციები (2 ადგილი).

გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი

მყარი ტანის ფიზიკა (2 ადგილი); სამთო მანქანები; ნახშირის, მადნეულ და არამადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია (2 ადგილი); ნახშირის, მადნეულ და არამადნეულ საბადოთა ღია წესით დამუშავება და ექსპლოატაცია; საბახტე და მიწისქვეშა მშენებლობა (2 ადგილი); სარეწველო ტრანსპორტი (3 ადგილი); უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი

თბური ძრავები; თბოფიზიკა.

პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ორგანული ქიმია (2 ადგილი); ნავთობის ქიმია და ნავთობქიმიური სინთეზი.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ელექტროქიმია; რადიაციული ქიმია; არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; ელექტროქიმიური წარმოება.

ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზია.

სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი

მყარი ტანის ფიზიკა; სამსხმელო წარმოება.

ბოტანიკის ინსტიტუტი

ბოტანიკა.

ზოოლოგიის ინსტიტუტი

ზოოლოგია.

მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი

ბიოქიმია (2 ადგილი).

ცენტრალური ბოტანიკური ბაღი

მცენარეთა ფიზიოლოგია.

სოხუმის ბოტანიკური ბაღი

მემცენარეობა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

სსრ კავშირის ისტორია; არქეოლოგია; ეთნოგრაფია (2 ადგილი, ერთი მიზნობრივი — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის).

ფილოსოფიის ინსტიტუტი

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი; ფილოსოფიის ისტორია.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სოციალური ფსიქოლოგია.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; პოლიტიკური ეკონომია (3 ადგილი), სახალხო მეურნეობის ისტორია; ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ორგანიზაცია, მათ შორის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით (4 ადგილი. 2 მიზნობრივი — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის);

მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში, სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების დაგეგმვისა და მართვაში, (2 ადგილი. 1 მიზნობრივი — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის);

ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და დემოგრაფია (2 ადგილი); სამოქალაქო სამართალი, საოჯახო სამართალი, სამოქალაქო პროცესი, საერთაშორისო კერძო სამართალი.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა; ფოლკლორისტიკა — მიზნობრივი—ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის.

ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; ბიოქიმია.

ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი

ალერგოლოგია და იმუნოლოგია; ციტოლოგია.

საბუთები მიიღება ამა წლის 15 ივლისიდან 30 სექტემბრამდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 6 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის კადრებისა და ასპირანტურის განყოფილებაში. ტ. 93-84-89.

მისამართი: 380008 თბილისი, რუსთაველის 52.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1980 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. არაორგანული ქიმია;
საინჟინრო გეოლოგია, გრუნტმცოდნეობა და მზრალმცოდნეობა;
მანქანათმცოდნეობა და მანქანათა ნაწილები;
მექანიზმების, მანქანებისა და ავტომატური ხაზების თეორია;
მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია;
მასალების ჭრით დამუშავების პროცესები და მანქანები; ავტომატური ხაზები;
შედუღების წარმოების ტექნოლოგია და მანქანები;
ავტომობილები და ტრაქტორები;
საგზაო, სალიანდაგო და სამშენებლო მანქანები;
ამწე-სატრანსპორტო მანქანები;
სამთო მანქანები;
ელექტრული მანქანები;
ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები;
საინფორმაციო-გამზომი სისტემები;
რადიოტექნიკის თეორიული საფუძვლები;
კავშირგაბმულობის არხებით ინფორმაციის გადაცემის თეორია, სისტემები და მოწყობილობები;
კავშირგაბმულობის ქსელები, კვანძები და ინფორმაციის განაწილება;
სისტემათა თეორია, ავტომატური რეგულირებისა და მართვის თეორია და სისტემური ანალიზი.
ტექნიკური კიბერნეტიკა და ინფორმაციის თეორია;
ინფორმაციის გადამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები;
ავტომატური მართვა და რეგულირება, ტექნოლოგიური პროცესების მართვა (სამთო);
სამრეწველო თბოენერგეტიკა;
თბოტექნიკის თეორიული საფუძვლები;
ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროგეოლოგია;
ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები;
ქვანახშირის, მადნეულ და არამადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია;
შავი ლითონების მეტალურგია;
ლითონების წნევით დამუშავება;
ელექტროქიმიური წარმოება;
სილიკატური და ძნელლღობადი არალითონური მასალების ტექნოლოგია;
თბოფორმომარაგება და ვენტილაცია;
შენობათა და ნაგებობათა არქიტექტურა;
ქალაქმშენებლობა, სარაიონო დაგეგმარება, ლანდშაფტის არქიტექტურა და სასოფლო-სამეურნეო დასახლებული პუნქტების დაგეგმარება.

განცხადება, რომელსაც ერთვის ქვემოთ აღნიშნული საბუთები (1 ეგზ.) უნდა შემოიტანოთ რექტორის სახელზე: დიპლომის ასლი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2 ფოტოსურათი, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დაბეჭდილი შრომები ან რეფერატი და ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაცია მიმდინარე წლის კურსდამთავრებულისათვის.

შემსვლელები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს: სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება 1980 წ. 22 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები იწყობა 1 ნოემბრიდან.

რექტორატი:

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1980-1981 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებათა შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება

აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა (რუსული სექტორი); **გერმანული ენა და ლიტერატურა** (აფხაზური სექტორი), **სამართლისმცოდნეობა** (აფხაზური და ქართული სექტორები), **ისტორია** (აფხაზური და რუსული სექტორები); **საბუღალტრო აღრიცხვა** (აფხაზური, ქართული და რუსული სექტორები), **მრეწველობის დაგეგმვა** (ქართული სექტორი), **ვაჭრობის ეკონომიკა** (რუსული სექტორი), **ფიზიკა** (ქართული და რუსული სექტორები), **მათემატიკა** (ქართული და რუსული სექტორები), **გეოგრაფია** (რუსული სექტორი), **ბიოლოგია** (აფხაზური და ქართული სექტორები), **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** (აფხაზური და რუსული სექტორები), **სკოლამდელთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია** (ქართული სექტორი), **ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა** (რუსული სექტორი), **ფიზიკური აღზრდა** (აფხაზური სექტორი).

საღამოს განყოფილება

ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია (აფხაზური და რუსული სექტორები); **საბუღალტრო აღრიცხვა** (აფხაზური, ქართული და რუსული სექტორები), **მრეწველობის დაგეგმვა** (ქართული სექტორი), **ვაჭრობის ეკონომიკა** (ქართული სექტორი), **ფიზიკა** (ქართული და რუსული სექტორები), **მათემატიკა** (ქართული და რუსული სექტორები), **ბიოლოგია** (ქართული სექტორი), **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა** (ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილება

აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია (ქართული სექტორი), **გეოგრაფია** (რუსული სექტორი), **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** (ქართული სექტორი).

შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

სპეციალობები: აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა; სამართლისმცოდნეობა, ისტორია, უცხო ენები — **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა და ზეპირი); **უცხო ენა** (ზეპირი), **სსრ კავშირის ისტორია** (ზეპირი);

სპეციალობები: მრეწველობის დაგეგმვა, ვაჭრობის ეკონომიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, გეოგრაფია — **მათემატიკა** (ზეპირი), **გეოგრაფია** (ზეპირი), **სსრ კავშირის ისტორია** (ზეპირი), **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ზოგადტექნიკური დისციპლინები და ფიზიკა — **მათემატიკა** (წერა და ზეპირი), **ფიზიკა** (ზეპირი), **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობა: ბიოლოგია — **ბიოლოგია** (ზეპირი), **ქიმია** (ზეპირი), **მათემატიკა** (ზეპირი), **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა).

სპეციალობა: დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა — **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა და ზეპირი), **სსრ კავშირის ისტორია** (ზეპირი), **მათემატიკა** (ზეპირი).

სპეციალობა: სკოლამდელთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია — **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა, ზეპირი), **სსრ კავშირის ისტორია** (ზეპირი), **ბიოლოგია** (ზეპირი).

სპეციალობა: ფიზიკური აღზრდა (ტანვარჯიში, ცურვა, მძლეოსნობა) — **ბიოლოგია** (ზეპირი), **ქიმია** (ზეპირი), **მშობლიური ენა და ლიტერატურა** (წერა).*

* **დაწვრილებითი ცნობები იხილეთ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ № 120—21 ივნისი 1980 წელი.**

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

21 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ), 09.55 — მოსწავლეთათვის — „ხალხური მელოდიები“ (ფ.), 10.25 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის — „მაქსიმ გორკი“ (ფ.), 10.55 — ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 18.00 — აბიბურიენგთათვის — ბიოლოგია (ფ.), 18.30 — „ხანძარი რომ არ მოხდეს“ (ფ.), 18.45 „მოამბე“ (ფ.), 19.15 — „მოწიწავეა გამოცდილება — საყოველთაო სახალხო მონაპოვარია“. ბამი. 1980 წელი. გადაცემა მეორე (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ.), 23.00 — „მღერის მეფეა ამირანაშვილი“ (ფ.), 23.30 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — დოკუმენტური ფილმი — „მე-6 ცდა“, 09.55 — „კლასიკური მონოლოგის საღამო“ (ფ.).

22 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ.), 10.00 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი თეატრი“ (ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა (მ.), შესვენების დროს — ახალი ამბები (მ.), 17.55 — აბიბურიენგთათვის — „ბიბლიოთეკა“ (ფ.), 18.00 — „ბავშვებისათვის“ — „ბაბუა ფანტომალა“ (ფ.), 18.30 — „ბუნების კარი“ (ფ.). 19.15 — „მოამბე“ (ფ), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ.). 23.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“: ფეხბურთი. საბჭოთა კავშირისა და ზამბიის ნაკრები გუნდები (მ.), შესვენების დროს — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ულვაშა ძიძა“ (ფ.), 10.20 — კონცერტი.

23 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ), 10.00 — „ეს ფსტრადაა...“ (განმეორებით. ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 18.05 — „ბაზაფხულის ესკიზები“ — კინოგვიდეო. (ფ.), 18.30 — განცხადებები (ფ.) 18.35 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „ბელენარკვევი „შთამომავლობა“ (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.30 — „ვრემია“ გადაცემა „მაიაკოვსკის დღეები“, 23.50 — „ბალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 09.30 — საგანმანათლებლო მხატვრული ფილმი „ფიქრი სიყვარულზე“.

24 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის დღიური“ (მ), 10.10 — სპორტული მუსიკალური სპექტაკლებიდან (ფ.), 10.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 17.55 — აბიბურიენგთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.25 — მოსწავლეთათვის „ზაფხულის ღღიურები“ (ფ.), 18.45 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.),22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „ეროვნული ნაკრები ბურთაობაში“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — სპორტული დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „ფეხბურთელი სალაბინ“, „ჩემპიონები“, „მწვრთნელები“ (ფ.), 10.15 — საესტრადო პანორამა (ფ.).

25 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 10.00 — „ეს ფსტრადაა...“ (განმეორებით. ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 18.05 — „ბაზაფხულის ესკიზები“ — კინოგვიდეო. (ფ.), 18.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „ბელენარკვევი „შთამომავლობა“ (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „ქიმია“ (ფ.), 23.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „თეატრალური ფოსტა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — ბავშვებისათვის — „ერთიანი მეგობარი სანრო“, 10.20 — კონცერტი.

26 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 10.00 — მცხეთის თვითმოქმედება. ანსამბლი „ხეკორძული“ (ფ.), 10.25 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხარისხოვანის, 16.45 — — ლიტვის ტელევიზიის პროგრამა. 18.15 — „ხვალ ვაჭრობის მუშაკის ღღეა“ (მ.), 18.30 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“ — ბურჯაანის რაიონი (ფ.), 19.30 — „მოამბე“ (ფ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „კომპოზიტორ ა. პახმუტოვას შემოქმედებითი საღამო ოლიმპიური სოფლის „ულუბურის ცენტრში“ (მ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 09.20 — მხატვრული ფილმი „აფეთქება“ (ფ.).

27 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია“ (მ.), 09.35 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 09.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.10 — კონცერტი, 10.40 — „კინოფიშა“, 10.55— „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 16.00 — „ვეფხვი“ (ფ.), 16.30 — „ლიტერატურული რუსთაველი“ (ფ.), 17.15 — „ვემასხურები საბჭოთა კავშირს“ — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ღღისადმი მიძღვნილი გადაცემა (მ.), 18.00 — „მოამბე“ (ფ.), 18.25 — „საერთაშორისო ფსტრამა“ (მ.), 18.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), 22.00 — „ქიმია“ (ფ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „თეატრალური ფოსტა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — ბავშვებისათვის — „ერთიანი მეგობარი სანრო“, 10.20 — „ერთიანი მეგობარი სანრო“, 10.20 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 10.40 — „ეს ფსტრადაა...“ (განმეორებით. ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 18.05 — „ბაზაფხულის ესკიზები“ — „ინოგვიდეო. (ფ.), 18.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „ბელენარკვევი „შთამომავლობა“ (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.),22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „ქიმია“ (ფ.), 23.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „თეატრალური ფოსტა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ერთიანი მეგობარი სანრო“, 10.20 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 10.40 — „ეს ფსტრადაა...“ (განმეორებით. ფ.), 10.55 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.), შესვენებების დროს — ახალი ამბები (მ.), 18.05 — „ბაზაფხულის ესკიზები“ — „ინოგვიდეო. (ფ.), 18.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „ბელენარკვევი „შთამომავლობა“ (ფ.), 19.15 — „მოამბე“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ოცდამეორე ოლიმპიური ასპარეზობა“ (მ.),22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „ქიმია“ (ფ.), 23.30 — „ოლიმპიადის ღღიური“ (მ.), 23.00 — „თეატრალური ფოსტა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 09.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ერთიანი მეგობარი სანრო“,